ცნობის ფურცელი

№ 2237 პარასკევი, 15 აგვისტო. 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2237

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

დღესასწაულისა გამო შემდეგი მე-2238 ნომერი გამოვა კვირას, 17 აგვისტოს.

3 მანეთი ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. კალლიზმნ
რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—105)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:

მ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

მრ. მ. ხოჭოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიამინოვსკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274.

საჭიროა
ახალგაზრდა ქართველი ექიმი
კერძო სამკურნალოსათვის.

ექიმმა უნდა იცხოვროს მუდმივ თვით სამკურნალოში.

მიმართეთ: გედევანიშვილის საავადმყოფოში დირექტორს და კბილის ექიმს ჭიჭინაძეს. (6—ნ.—2)

ხონის მარიამის სახელობის დედათა სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ განმეორებით ეგზამენები ამ სასწავლებლის მოსწავლეთა მოხდება 26, ხოლო მისაღები—27 და 28 აგვისტოს. თავისუფალი ადგილი საკმაოა როგორც მოსამზადებელ, ისე მაღალ კლასებში. თხოვნები მიიღება 15 აგვისტოდან. (5—ნ.—3)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს
ახალი წიგნი
„ჩვენს დედებს"
პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა
ფასი ხუთი შაური.
ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, დ. ივ. ნათაძეს. (ვ. 0—25)

ცინკოგრაფია
წიგნ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

საზღვარ-გარედ

მაკედონია. ბოლგარიამა და საბერძნეთმა მაკედონიის საქმის თაობაზე ნოტები ჩააბარეს დიდ სახელმწიფოებს. ბოლგარიის მთავრობამ ჯერ კიდევ ამ ერთის თვის წინად ნოტა გაუგზავნა სახელმწიფოებს და ოსმალეთის უდივრობა გააგებინა. ოსმალეთი დაჰპირდა ბოლგარიას, მაკედონიის მშვიდობიან ხალხს აღარას დავუშავებო. რადგან ოსმალეთმა ეს დაპირება არ აასრულა, ბოლგარიის მთავრობამ ახალი ნოტა დაამზადა და სახელმწიფოების ელჩებს სოფიაში ჩააბარა. ახალ ნოტაში დაწვრილებითაა ჩამოთვლილი, სად, როდის და ვის მოექცნენ უსამართლოდ ოსმალეთის მოხელეები. ეს ნოტა ძლიერ მკაცრადაა დაწერილი, ნამდვილი ბრალმდებელი ოქმია ოსმალეთის წინააღმდეგ და ამნაირად თავდება: „რაკი ოსმალეთის მთავრობა თავის დაპირების ასრულებას არც კი აპირებდა, მონასტირის (ბიტოლიის) ოლქის ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა და იარაღს ხელი წაავლო. ბოლგარიის საზღვრიდან 250 კილომეტრზე აჯანყებამ იფეთქა; ამ აჯანყების მიზეზი ეხლა ყველამ იცის, ისიც ყველამ გაიგო, თუ ვინ უნდა აგოს ამის პასუხი. პორტა ამას იქით ვეღარას დააბრალებს ბოლგარიის სამთავროს".

სულ სხვაა საბერძნეთის მთავრობის ნოტა. საბერძნეთი ბეჯითად სთხოვს დიდ სახელმწიფოებს, ნება მიეცით ოსმალეთს, რომ აჯანყებულ ბოლგარებს მაკედონიაში როგორც უნდოდეს, ისე მოექცეს, თორემ საბერძნეთიც იძულებული იქნება, აშკარად მიემხროს ოსმალეთს მშვიდობიანობის აღსადგენად და მაკედონიელ ბერძნების დასაცველად, რადგან აჯანყებული ბოლგარები მეტად მხეცურად ექცევიან მშვიდობიან სოფლელ ბერძნებსაო.

◆ მაკედონიელი ბოლგარები მეტად ყოჩაღადა და მოხერხებულად იქცევიან. „ბერლინ. ტაგებლატ"-ის სტამბოლელი კორესპონდენტი იწერება:

„დღე არ გავა, საიდანმე ამბავი არ მოვიდეს, ბოლგარებმა დინამიტით ააფეთქეს ან ხიდი, არ რკინის გზაო. ეხლა, როგორც ეტყობა, აჯანყებულნი ასაფეთქებლად ჯოჯოხეთის მანქანას ხმარობენ საათის მექანიზმით. ამნაირ მანქანით უსკიუბს ახლოს ორი ვაგონი ჯარის ტანისამოსი ააფეთქეს. გებიჩევს ახლო საქონლის მატარებელშიაც იფეთქა ამნაირმა მანქანამ და რამდენიმე ვაგონი დაანგრია. ორსავ შემთხვევაში საათის მექანიზმს დანიშნულ დროზე წინ დაეწყო მოქმედება".

◆ მაკედონიელმა რევოლიუციონერებმა საქმე გაუჭირეს თურმე ოსმალეთის ჯარს. „ფრანკფ. ცაიტუნგ"-ის სოლუნელი კორესპონდენტი სწერს:

„აჯანყებულ ხალხთან ბრძოლას დიდი სიცხე და უწყლობა მეტად აძნელებს. ჰილმი-ფაშამ გამოუცხადა აჯანყებულ ბოლგარებს, ვინც ერთის კვირის განმავლობაში შინ დაბრუნდება, აღარ დაისჯებაო, მაგრამ, არა მგონია, ამ განცხადებამ გასჭრას და ბოლგარები დანგრეულ სოფელში დაბრუნდნენ. ფლორინასთან ახლო აფეთქებულ ხიდს გამუდმებით 30 ოსმალელი ჯარის კაცი სდარაჯობდა, მაგრამ რამწამს ეს რაზმი ბოლგარებს მდევრად გამოუყენეს, ხიდი ხელად ააფეთქეს. მაკედონიის შუაგულიდან ამბავი მოვიდა, ოსმალელი ჯარის-კაცები ხშირად სამსახურს თავს ანებებენ და შინ გარბიანო, ასე დრამიდან ერთი რაზმი გაქცეულა. ამბობენ, გაქცეულმა ჯარის-კაცებმა თავიანთი თოფები და სამხედრო მასალა ადგილობრივ ბოლგარებს მიჰყიდესო. აჯანყებულ ბოლგარების ბინებისა და სამალავების ძებნამ ხომ მართლაც და საქმე გაუჭირა ოსმალებს. ესენი ვერც აზერხებენ ამ სამალავების პოვნას. ამ საქმეში გაცილებით მეტ შნოსა და მოხერხებას ადგილობრივი ბერძენი-ჟანდარმები იჩენენ. ოსმალებმა ბერძნების ხელმძღვანელობით რამდენჯერმე იპოვეს და ხელშიაც ჩაიგდეს დამალული ბოლგარელები.

საფრანგეთი. სადეპარტამენტო საბჭოებმა ბევრგან გახსნის უმალ მთავრობის პოლიტიკა მოიწონეს და ეხლანდელ სამინისტროს თანაგრძნობა გამოუცხადეს საკონგრეგაციო სკოლების დახურვისათვის. მთავრობის წინააღმდეგი რეზოლიუციები ჯერ მხოლოდ ვანდეისა და ეირის საბჭოებმა მიიღეს. სარტის დეპარტამენტში კარგა ხანია ყოველ წელს საბჭოს თავმჯდომარედ ცნობილ კავენიაკს ირჩევენ, ეხლა კი გაუშავებიათ.

ინგლისი. ჩემბერლენის სადამოჟნო პროექტია და მთელი ინგლისი. ინგლისში კაცი აღარ დარჩა, რომ ამ პროექტზე ხმა არ ამოეღოს და თავისი აზრი არ გამოეთქვას. დიდი აგიტაციაა გამართული ყველგან. ზოგი ჩემბერლენს ემხრობა, ზოგი წინააღმდეგია, ჩემბერლენის სამშობლო ქალაქ ბირმინჰამში 50 მილიონი ცალი პამფლეტი და ფურცელი გამოუციათ ამ საქმეზე და ყველგან ხალხში მოუდვიათ. გაზეთებიც მეტად დიდ ყურადღებას აქცევენ ამ საქმეს და თავისუფალ ვაჭრობის დასაცველად, თუ იმის წინააღმდეგ მეტად ბევრ წერილებსა სწერენ. ერთი სიტყვით, ნამდვილი ომია გამართული, მაგრამ ეს თურმე მარტო დაწყებაა, ნამდვილი აგიტაცია ამას იქით, შემოდგომაზე, გაიმართება და მაშინ გამოჩნდება კიდეც, ვინ გაიმარჯვებს,—ჩემბერლენის მომხრეები, თუ იმის მოწინააღმდეგეები,

ამ საქმეზე უნიონისტ-დეპუტატმა ბოსკოუენმა ჩემბერლენს წერილით სთხოვა, თქვენი აზრი სატამოჟნო საქმეზე მოკლედა და გარკვევით გამოსთქვით, თორემ სატარიფო რეფორმის წინააღმდეგნი საზოგადოებრივ კრებებსა და გაზეთებში სულ ტყუილ ცნობებს ავრცელებენ თქვენის პროექტის თაობაზეო. ბოსკოუენი სწერდა:

„ამტკიცებენ, ვითომ თქვენ თხოულობდეთ, უცხოეთიდან მოტანილ ხამ, შეუმუშავებელ მასალას ბაჟი დაედოსო; მერე ვითომ თქვენ საჭმელზედაც გინდოდეთ ბაჟის დადება. პირველი ცნობა ნამდვილ ტყუილად მიმაჩნია. ამაზე თქვენ რამდენჯერმე საჯაროდაც გამოსთქვით აზრი. მეორე ცნობის შესახებ უნდა ვსთქვა, რამდენადაც ვიცი, თქვენ თხოულობდით კოლონიებს უპირატესობა მივსცეთ რამეო, ამისთვის საჭიროა პურსა და სანოვაგეს ბაჟი დაედოსო, მაგრამ ამავე დროს წინადადებას იძლეოდით, რომ სხვა საჭმელზე დადებული გადასახადი ან სულ გავაუქმოთ, ან ძლიერ შევამციროთ, რომ ხალხს ცხოვრება არ გაუძვირდესო."

ჩემბერლენმა წერილითვე უპასუხა. მინისტრი სწერდა:

„არასდროს არ მომითხოვნია, რომ დაუმუშავებელ მასალას, მაგალ. მატყლსა და ბამბას ბაჟი დაედოს, და ეს ბაჟი არც საჭიროა იმ საქმისათვის, რა საქმის გარიგებასაც მე ვცდილობ. მე ვცდილობ, რომ ინგლისმა და იმისმა კოლონიებმა ერთმანეთის საქონელს შეღავათიანი ბაჟი დაადონ და უცხოეთის სახელმწიფოებს უფრო სასარგებლო სავაჭრო პირობით შეეკრან. საჭმელზე კიდევ ის უნდა მოგახსენო, რომ ჩემი სატარიფო პროექტი მთელს ინგლისში ერთი ბეწოთიც არავის გაუძვირებს ცხოვრებას."

ჩემბერლენის წერილმა ყველა გაზეთი აალაპარაკა. ჩემბერლენის სადამოჟნო პროექტის მოწინააღმდეგე კონსერვატიული „სტანდარდ"-ი სწერს:

„ჩემბერლენის წერილი მეტად მოკლეა, ამიტომ ავტორის აზრი ცხადად ვერაა გამოთქმული, მაგრამ ამ წერილიდან კარგად სჩანს, რომ მინისტრი დაუფიქრებია ხალხის პროტესტს. ჩემბერლენს უკვირს, რა მიზეზია, ჩემი აზრი სწორედ ვერ გაიგესო, მაგრამ მიზეზის გასაგებად საკმაოა თავისი წინანდელი წინადადება გაიხსენოს." შემდეგ გაზეთი ბოსკოუენის დასცინის. „ბოსკოუენის აზრით, ჩემბერლენი თხოულობდა, პურს ბაჟი დაედოს, მაგრამ ამავე დროს, სხვა ბაჟი ისე უნდა შეიცვალოს, რომ ხალხს ცხოვრება არ გაუძვირდესო." „სტანდარდ"-ი შენიშნავს, „თუ ბოსკოუენს ყოველთვის ასე ესმოდა ჩემბერლენის პროექტი, მაშ მთელ საზოგადოებაზე უფრო შორს გამჭვრეტელი და მიხვედრილი კაცი ყოფილაო; ხალხის აზრით, ჩემბერლენის პროექტი სულ სხვას თხოულობდა". გაზეთი მინისტრის ნათქვამებს იხსენიებს თავის აზრის დასამტკიცებლად და განაგრძობს: „მაგრამ დეე ეგრე იყოს, როგორც ჩემბერლენი ეხლა აცხადებს. თუ პურისა და სანოვაგის ბაჟი ცხოვრებას არ გააძვირებს, ცხადია, ეს ბაჟი მეტად მცირე უნდა იყოს. მცირე ბაჟი ვერას უშველის ჩვენებურ ფერმერებს და ისიც საეჭვოა, რომ ამ მცირე ბაჟის შემწეობით კოლონიებს რაიმე სათქმელი უპირატესობა მივცეთ. ასე რომ ნამდვილად ისეთი ბაჟი უნდა დაწესდეს, როგორიც იყო ამას წინად გაუქმებული პურის ბაჟი. აი, ამ მცირე ბაჟის გულისათვის საშინელი აგიტაცია გამართეს ლამის უნიონისტების პარტია სამუდამოთ ორად გაიყოს და მთელ ინგლისში დიდი დავა ასტეხოს თავისუფალ ვაჭრობასა და პროტექციონიზმზე."

ამავე საგანზე „დეილი ნიუს"-ი სწერს:

„ეხლა, როცა დაინახა, რომ ძვირი პური ვერაფერი საარჩევნო ფარ-ხმალი ყოფილა, ჩემბერლენი უცხადებს ხალხს, ჩემი პროექტი არაფერ ტაბჯვასა და ხარჯში არ ჩააგდებს ინგლისსაო. იმპერიის გამაგრებას უამისოდაც მოვახერხებო. ჩემი სატარიფო პროექტი ნამცეცადაც არავის გაუძვირებს ცხოვრებასაო. გაიხსენეთ, რას ამბობდა მაისში ჩემბერლენი და მაშინ ადვილად მიჰხვდებით, თუ რა ნაირად შეცვლილა მინისტრის აზრი". შემდეგ გაზეთი გესლიანად დასცინის ჩემბერლენს: „მინისტრის აზრით, ინგლისელ ლენდ-ლორდებისა და კოლონიელ ფერმერების სასარგებლოდ საწყალ ხალხს, მუშებსა და ნოქრებს პური, ერბო, ყველი, ხორცი და სხვა სანოვაგე უნდა გავუძვიროთ, მაგრამ საკმაო იქნება, ჩაი, შაქარი და პაპიროზი გავუიაფოთ, რომ ღარიბმა ხალხმა პურისა და სანოვაგის გაძვირება ვერც კი შეიმჩნიოსო." დასასრულ ლიბერალური გაზეთი ამბობს: „შეუძლებელია კაცმა ისეთი ბაჟები დააწესოს, რომ ხალხს ცხოვრება არ გაუძვირდეს; ამას ჩემბერლენის უკანასკნელი სოფიზმებიც კი ვერ დაჰმალავს, ისე როგორც წინანდელმა სოფიზმებმა ვერ დაჰმალეს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ მთავრობამ კომისია დანიშნა მუშების გაფიცვების გამოსაკვლევად. კომისიას ტრედ-უნიონების კონგრესის მდივანი ს. ვუდსი დაუზარებია. ვუდსი მისულა, მაგრამ კომისიისათვის არაფერი ჩვენება არ მიუცია, უმთავრესად იმ საბუთით, რომ კომისიაში მარტო კაპიტალისტების წარმომადგენლები სხედანო.

ავსტრო-ჰუნგრეთი. ჰუნგრეთის სამინისტროს კრიზისი ჯერაც არ გათავებულა. ჰუნგრეთის ოპოზიცია წინანდებურად მედგრად თხოულობს თავის სურვილის შესრულებას. გერმანული გაზ. „ფრემდენბლატ"-ი სწერს: ის, რასაც ჰუნგრეთის ოპოზიცია თხოულობს, მაგალითად ჰუნგრულ ენის შემოღება ჯარში, და სხვ., პარლამენტს როდი ეკითხება. კანონის ძალით, ავსტრო-ჰუნგრეთის ჯარის შინაგანი წყობილება მარტო იმპერატორს ეკითხება. ამის წინაამდეგ ფრანც კოშუტმა ჰუნგრულ გაზეთის „ეგიეტერტეს"-ში დასწერა:

„ყველანი მოვალენი არიან იმპერატორს გააგებინონ, რომ ჰუნგრეთის ერის უფლება უსათუოდ უნდა აღიაროს, თუ უნდა, რომ სამინისტროს კრიზისს ბოლო მოეღოს. ამ უფლების განხორციელება თან-და-თან, ნელნელაც შეიძლება, მხოლოდ წინადვე კაპირობა უნდა დაიდოს, თუ რანაირადა და რა დროს განხორციელდეს ეს უფლება."

ახალი ამბავი

◆ სამშაბათს, 12 აგვისტოს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს **სტიპენდიების დანიშვნა**, სხდომა ჰქონდა. კომისიამ განიხილა სამოც თხოვნაზე მეტი უმაღლეს სასწავლებლის ღარიბ სტუდენტებისა. განიხილა იმათი თხოვნებიც, ვინც წელს მიემგზავრებიან უმაღლეს სასწავლებლებში. კომისიამ შესაძლოდ დაინახა დაენიშნოს სტიპენდიები შემდეგ პირთ, რომელნიც წელს მიემგზავრებიან რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში (თითოს წელიწადში 400): 1. გრიგოლ აბელიშვილს, 2. ნიკოლოზ კორინთელს, 3. თამაზ ვაჩნაძეს, 4. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილს, 5. ირაკლი ბურჯანაძეს, 6. გიორგი იშხნელს, 7. ანტონ ქურულს, 8. ოლღა მირზაშვილს, 9. დიმიტრი სლინკოს, 10. სოფიო მამრაძეს, 11. ილია ხირსელიშვილს, 12. ავქსენტი ბერიშვილს, 13 გიორგი ლაფქიაშვილს, 14 ალექსანდრე ქვლივიძეს, 15. ნესტორ კლიმიაშვილს, 16. პავლე ქარუმიძეს, 17. შალვა ნათაძეს, 18. იოსებ შათირიშვილს, 19. ნიკოლოზ ქუჩუკაშვილს, 20. დანიელ შავერდოვს, 21. ანდრია ჯაფარიძეს, 22. დიმიტრი ჯავახიშვილს, 23. იროდიონ სანდლულაშვილს და 24. ვახტანგ ქართველიშვილს. სტუდენტთაგან სტიპენდია დაენიშნათ ალექსანდრე პოლტარაცკის, ზაქარია ციციშვილს და ს. პეტერბურგის კონსერვატორიის მოსწავლეს ივანე სარაჯიშვილს. ამას გარდა კომისიამ 1200 მანეთი დაუნიშნა წელიწადში ექიმს ლუკა ჯავახიშვილს, რომელიც მიემგზავრება ორის წლით საზღვარ გარედ.

◆ როგორც გადასახადთა ინსპექტორების მიერ შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, ტფილისის გუბერნიაში წელს **გაზაფხულზე** დაუთესიათ გლეხებსა და კერძო მემამულეებს: დუშეთის მაზრაში—12,950 დესეტინა, თელავის მაზრაში—8,525 დეს., ახალციხისაში—8,679 დეს., თიონეთისაში—7,450 დეს., გორისაში—65,482 დეს. სულ მთელ ტფილისის გუბერნიაში—103,086 დესეტინა. აქედან გლეხობას დაუთესია—71,174 დეს., კერძო მემამულეებს—31,912 დეს.

◆ საქართველოს ეგზარხოსის განკარგულებით, მოწერილებანი დაეგზავნა ბლაღოჩინებს, რომელთაც ევალებათ მეტი ყურადღება მიაქციონ **ეკლესიებთან სამრევლო კომიტეტების** დაარსებას. ასეთმა კომიტეტებმა ეკლესიების გამშვენების გარდა უნდა იზრუნონ წიგნთ-საცავებისა, სამკითხველოებისა და სკოლების დაარსების შესახებ.

◆ საშაბურელ **გლეხთა და აზნაურთა მორიგება** მიწის მფლობელობის თაობაზე ვერ მოხერხდა, თუმცა ამ საქმისათვის გაგზავნილი იყო საგანგებო საქმეთა მოხელე.

◆ ამას წინად სახალხო განათლების სამინისტროს განეხილავს სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა მოსაზრებანი გიმნაზიებისა და სხვა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთათვის **საზაფხულო თავშესაფრის** გამართვის შესახებ. სამინისტრომ ეხლა მოწერილებანი დაუგზავნა სამოსწავლო ოლქის მზრუნველთ და სთხოვა ყოველ მხრივ განიხილონ ეს საქმე. ამასთან სამინისტრო სწერს მზრუნველებს, რომ სააგარაკო თავშესაფარების შესანახი ფული შეიძლება გამოიღონ ადგილობრივმა საზოგადოებებმა. ამავე საქმისთვის შეიძლება გადაიდვას იმ თავისუფალ თანხის ნაწილი, რომელიც ყველა გიმნაზიასა აქვს.

◆ ქართულ-დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ დრამატურგის **ავქსენტი ცაგარლის** სულის მოსახსენებლად გადაიხადოს 7 სექტემბერს.

◆ **ტფილისის პოლიცმეისტრის თანაშემწედ**, თავ. სიდამონ-ერისთავის ნაცვლად, რომელიც მომრიგებელ შუამავლად გადაიყვანეს, როგორც გავიგეთ, დაინიშნა ტფილისის პოლიციის მე-4 ნაწილის ბოქაული დუშინსკი.

◆ ამ ცოტა ხანში კავკასიაში ჩამოვა მიწათ-მოქმედების სამინისტროს მოხელე, ბ-ნი ბობრიკოვი. ამ მოხელეს ჰგზავნიან **გადმოსახლებულ რუსთა** საქმეების გამო.

◆ როგორც „კავკ."-ს გაუგია, ქართლ-კახეთის ეპარქიის **სამრევლო სკოლების მეთვალ-ყურედ დაუნიშნავთ** სტატს. სოვ. ოდოევი, ხოლო ახალსენაკის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად —ნარბეკოვი.

◆ ტფილისის ქალაქის **გამგეობის წევრს მ. ს. შესტაკოვს**, როგორც „ნოვ. ობ."-ს გაუგია, ჰნიშნავენ გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს მეხუთე წევრად. მომრიგებელ-შუამავლებად ტფილისის გუბერნიაში ჰნიშნავენ, სხვათა შორის, სახალხო სკოლების დირექტორს ღმიტრიევს, ამავე სკოლების ინსპექტორს პავლოვს და ჟუკოვს.

◆ შესდგა განსაკუთრებული კომისია ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მატარებლების **ხშირ დაგვიანების** მიზეზთა გამოსაკვლევად. 12 აგვისტოს ეს კომისია მატარებლით გზაზე წავიდა ცნობების შესაკრებად.

◆ სახელმწიფო რკინის გზების **მთავარ კონტროლს** ვლადიმიროვს ტფილისში 17 აგვისტოს მოელიან.

◆ ტფილისის **ოლქის სასამართლოს სესია** 4 სექტემბრიდან ტფილისის გუბერნიის სხვა-და-სხვა ქალაქებში მიდის: გორში საქმეების განხილვას სესია შეუდგება 5 სექტემბრიდან, ახალქალაქში—27 სექტემბრიდან, ახალციხეში—3 ოქტომბრიდან და სხვა.

◆ ტფილისის სავაჭრო პოლიციის აგენტებმა ქალაქის გამგეობას წარუდგინეს **სია იმ ნამალდევებთა**, რომელნიც ჯერ არ ყოფილან დასაფასებელ გარდასახადების სიაში შეტანილი, და იმ მცხოვრებთა, რომელთა მამულებიც ხელმეორედ უნდა დაფასდეს.

◆ **გუმბრში მოუკლავთ** ბლაღოჩინი მღვდელი ვასილიევი.

◆ **ტფილისის თავად-აზნაურობამ** 500 მანეთი **შესწირა** იმ ძეგლის სასარგებლოდ, რომელსაც ყირიმის ომის სახსოვრად სიმფეროპოლში სდგამენ.

◆ **ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში** მისაღები ეგზამენები მოხდება 21, 22 და 23 აგვისტოს, ხოლო ქალთა გიმნაზიაში—22, 23 და 26 აგვისტოს.

◆ **ხრდონის სასულიერო სასწავლებელ**-ში მისაღები და გამოსაცდელი ეგზამენები მოხდება 21—26 აგვისტოს. სემინარიის 1 კლასში 25 თავისუფალი ვაკანსიაა.

◆ ტფილისის **იუნკერთა სასწავლებლის** მოსწავლენი 13 აგვისტოს დაბრუნდნენ სურამიდან. სასწავლებელში მისაღები ეგზამენები და გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება 22 აგვისტოს.

◆ ინჟ. **ხგორონკო**, ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგის უფროსი, პეტერბურგიდან ტფილისს დაბრუნდა.

◆ **ერევნის ქალაქის** თვით-მმართველობასაც გადაუწყვეტია პრინციპიალურად თავის მოსამსახურეთ დაუნიშნოს სამსახურის დასრულების შემდეგ პენსიები. ერევნის ქალაქის მოურავმა სთხოვა გუშინ ტფილისისა გაუგზავნოს პროექტი პენსიის წესდებისა.

◆ პოლიციის მე-2 ნაწილში ჩხუბი მოუვიდათ რაჭის მაზრის მცხოვრებთ ძმებს სოლომონ და სეფე თამარიძეებს. ჩხუბის დროს სოლომონმა თავისი ძმა სეფე მძიმედ დასჭრა. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს.

21 აგვისტოს ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ნესტორ ქურციკიძისა და სხვათა, რომელთაც ყაჩაღობა ჰბრალდებათ, სულეიმან ბაირამ-ოღლის, რომელსაც აგრეთვე ყაჩაღობა და კაცის მოკვლა ჰბრალდება. ეს სულეიმანი კარგახანს გაურბოდა პოლიციას და ბორჩალოს და ტფილისის მაზრაში ბევრი ბოროტ-მოქმედებანი ჩაიდინა.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, მდივანმა ბ-ნ ე. თ. ოთხელიანმა მისწერა საზოგადოების ხაზინადარს, შეიტანოს ხაზინაში ის 700 მან., რომელიც ერგება პოლიციის მოხელეებს კავკასიის გამოფენის დროს სამსახურისათვის.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „კბილები და მათი მოვლა-შენახვა", სახალხო ლექციები ფელდშერთათვის, თარგმანი კბილის ექიმის ი. მ. ახალშენიშვილისა. წიგნაკს შიგ ნახატი აქვს დართული. ფასი 40 კ.

◆ არაგვის ქუჩის მცხოვრებლებმა გუშინ განცხადება წარუდგინეს ტფილისის ქალაქის გამგეობას. სთხოვენ ამ ქუჩაზე ქალაქმა არხი გაიყვანოს.

◆ მუშტაიდის ბაღში სულით-ავადმყოფი დედაკაცი დახეტიალებს. საბრალოს ყურადღებას არავინ აქცევს. ერთმა კეთილმა კაცმა მოისურვა კიდეც ბინის მიცემა, მაგრამ ბინიდან გამოექცა.

◆ ამ ორის დღის წინად დიდუბეში, მტკვრის პირას, ბანაობდა რამდენიმე კაცი. ტანთსაცმელი რიყეზე დაეყარათ. ერთ ჯიბგირს, შეენიშნა რა ეს ტანთსაცმელი, ჯიბეების ჩხრეკა დაეწყო. ეს შეენიშნათ იქვე ყაზახებს, რომელთაც ძალზე სცემეს ჯიბგირს.

◆ სადგურ წიფასთან საქონლის მატარებლის ერთ ცისტერნიდან გადმოვარდნილა ამართული კეტი, რომელიც იმაგრებს ხოლმე მატარებლის შესაყენებლად ჩამოკიდებულ თოკს. ეს კეტი კოკით ხელში გვერდზე მიმავალ დედაკაცს დასცემია, რომელიც ცოცხალ-მკვდარი უპოვიათ.

◆ 21 აგვისტოსთვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვ. პეტრე მალატხიასა და სხვ., რომელთაც ქალის მოტაცება ჰბრალდებათ.

◆ ტფილისის სამოსამართლო პალატის გამმიჯვნელ საკრებულოს მოხელემ ფელინჯანკომ განაცხადა პოლიციაში, რომ ჩემ შინ არ ყოფნის დროს ვიღამაც სახლიდან მომპარა საათი 45 მან. ღირებულიო. ამ ქურდობაში ეჭვი მიიტანეს გიორგი ნატროშვილზე, რომელიც დააპატიმრეს.

რუსეთის ქრონიკა

◆ მიმდინარე წლის განმავლობაში მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში მოახდენენ სახელმწიფო ქონების გამგეობათა რეფორმას და მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონების გამგეობებად გარდაჰქმნიან. ამ გამგეობათა რიცხვი 70 იქმნება (დღეს კი 48-ა).

◆ თავისუფალ-ეკონომიურ საზოგადოებასთან არსებულ კომისიას, რომლის რედაქციით იბეჭდებოდა „ხალხის განათლება რუსეთში", უკვე 63 ათასი მან. დაუხარჯავს ამ გამოცემაზე; ახლა შეძლება აღარ ჰქონია ამ საქმის დასამთავრებლად და საქალაქო და საერობო დაწესებულებათ 25 ათას მან. შემწეობას სთხოვს.

◆ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტი ჰგზავნის ყირიმში ერთ სპეციალისტს ჩალისაგან ქაღალდის გასაკეთებელ ქარხნების მოსაწყობად.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულიარის თანახმად, მიწვეულ იქნებიან სამაზრო და საგუბერნიო კომისიები მორწყვის, არხების გაყვანისა და ადგილების გაშრობის შესახებ საკითხის განსახილველად.

◆ ამ ბოლო დროს გამოცემულ სახელმწიფო კონტროლის ანგარიშიდან სჩანს, რომ რუსეთის რკინის გზებს 1897—1900 წლამდის ყოველ წლივ 11—19 მილიონამდის წმინდა შემოსავალი ჰქონიათ, 1901

ფელეტონი

რაჭის ამ კარში

რაჭა ზაფხულობით.—უგზოობა.—უწერა.—ახირებული მღვდელი.—უწერის სასტუმრო და იქ ცხოვრება.—მჟავე წყალი და მოაგარაკეთა გაჭირვება.

რაჭას ზაფხულობით შედარებით ნაკლები ხალხი ეტანება. თუმცა მთელი რაჭა საუცხოვოა ზაფხულში საცხოვრებლად, მაგრამ აგარაკის სახელით მონათლულია მხოლოდ ერთად-ერთი სოფელი უწერა. რაჭა საზოგადოდ მთა-გორიანია; არის აქ ისეთი კუთხეები, რომელთაც მდებარეობით, ჰაერით, წყლით საქართველოში ბევრი ადგილი არ შეედრება. ასეთია, მაგალითად, მდინარე შაორის ხეობა. გადახვალთ თუ არა ნაქერალის ქედს, თვალ წინ საუცხოვო სურათი გეშლებათ: დაცემული ვაკე, რომელსაც ტყით დაფენილი, კარგა მოზრდილი გორაკები აქვს შემორტყმული. ამ ვაკეზე მიიკლაკნება საოცრად წმინდა და ანკარა შაორი.

თუ მთელი რაჭა დღემდე სააგარაკო ადგილად არ გადაიქცა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რაჭას ხეირიანი გზა არ მოეპოვება. ორი გზაა, ქუთაისიდან რაჭაში მიმავალი: ერთი ლეჩხუმზე, მეორე ნაქერალაზე. პირველი გზა საფოსტოა, მაგრამ არა მგონია სადმე საფოსტო გზა ისე უყურადღებოთ იყოს მიტოვებული, როგორც ეს; ეგრედ წოდებული, სამხედრო ოსეთის გზაა. იმ დროს, როდესაც მთავრობა ათი ათასობით ხარჯავს სამხედრო საქართველოს გზის შესაკეთებლად, სამხედრო ოსეთის გზას ყურადღებასაც არავინ აქცევს, თუმცა მნიშვნელობა ამ გზას პირველზე თუ არ მეტი, ნაკლები არა აქვს. ამ ჟამად, პეტროვ-ბალაჯარის რკინის გზის გაყვანის შემდეგ, სამხედრო საქართველოს გზას ბევრი მნიშვნელობა აღარა აქვს. ოსეთის გზა-კი მარტო კავკასიონის ქედს აქეთ ორ დიდ მაზრას ემსახურება—რაჭასა და ლეჩხუმს. მოგეხსენებათ, მიწა-ადგილის სივიწროვის გამო რაჭველებს საკვები ძალიან ადრე შემოაკლდებათ ხოლმე. მაშინ სიმინდის სასყიდლად რაჭველები ხსენებულ გზით ოსეთს მიდიან, მაგრამ უბედურება ის არის, რომ დიდის თოვლების გამო ძალიან ხშირად ეს გზა ზაფხულამდე შეკრულია. აი, ასეთ შემთხვევაში ნამდვილი შიმშილობა დგება ხოლმე. ფუთი სიმინდი ზოგჯერ 4—5 მანეთად ფასობს. ამ გზას რომ მეტი ყურადღება ჰქონდეს მიქცეული, რაჭველები არასოდეს გაჭირვებაში არ ჩავარდებოდნენ.

მეორე გზა რაჭაში ტყიბულით მიდის: ტყიბულამდე კაცი რკინის გზით უნდა მოვიდეს, შემდეგ-კი ნაქერალაზე გადასასვლელად ცხენი ან სხვა რამე უნდა დაიქირაოს. ყურადღებას არც ამ გზას აქცევენ, თუმცა იგი ძალიან მოხერხებულია, პირდაპირ შუა რაჭაში გადადის.

რაჭის თავში, აღმოსავლეთით, სძევს უწერა. ეს სოფელი, როგორცა ვთქვით, ერთადერთ აგარაკად ითვლება, თუმცა მჟავე წყლები სხვა სოფლებშიაც არის. უწერა შემოზღუდულია ირგვლივ დიდრონის მთებით. მარჯვნივ ჩამოუდის მდ. რიონი. თუმცა მთიანი ადგილია, მაგრამ შუა დღისას მაინც ძალიანა ცხელა, ხოლო დილა-საღამოს მეტადა ცივა. უწერა კარგა მოზრდილი სოფელია, მაგრამ ერთი სკოლაც-კი არა აქვს, რომ ბავშვებმა ანბანი მაინც ისწავლონ. ძალიან ცოტასა ცდილა ადგილობრივი მღვდელი, თორემ კარგად შეეძლო ერთი სამრევლო საეკლესიო სკოლა დაეარსებინა ამ სოფელში.

უწერაში დღესაც ბევრია ძველებური კოშკი. ასეთ კოშკებში თავს იფარავდა ადგილობრივი მცხოვრები მტრის თავდასხმის დროს. დღეს კოშკების ზედა სართულში ჯალაბი ცხოვრობს გლეხისა, ხოლო ქვედაში, შინაური საქონელი ჰყავთ. ჩაცმა-დახურვით უწერელნი ძალიან განსხვავდებიან სხვა რაჭველებისაგან. აქ ისევ ძველებურად იციან ჩაცმა დახურვა. მოხუცებული დედაკაცები იცმენ ყუთ-მაჯიბიან კაბას. გულზე იკეთებენ ათას ნაირ უბრალო მძივებს, თავს ჰხურავთ უბრალო ჩიქილა ან მანდილი. მცხოვრებნი მშვიდი, წყნარი და ყოვლად პატიოსანი ხალხია, ამათი სიტყვა და საქმე ერთია. ღვთის მოშიშნიც არიან. აქაურებმა მიამბეს: ერთხელ ისეთი მღვდელი გვყავდა, რომ სიტყვას ვერ ვუბრუნებდით და ყველაფერს ვუსრულებდითო. ახირებულის ზნისა ყოფილა ეს მღვდელი; თუ რამეს ეტყოდნენ, დაავლებდა ხელს მაცხოვრის ხატს, გამოიტანდა ღ ეტყოდა ხალხს, ეხლავე ამაზე შეგაჩვენებთო. მორწმუნე ხალხიც შიშით კანკალებდა.

უწერელნი, როგორც კარგის საძოვრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელი-კი 14 მილიონ ზარალით დასრულებულა. ამის მიზეზი ერთის მხრით მოუსავლობაა და მეორეს მხრით 5 ათასი ვერსის მანძილზე ახლად გაყვანილი გზები, რომელნიც საზარალო ყოფილან. ყველაზე მეტი ზარალი ციმბირის რკინის გზას ჰქონია—22 მილიონი მანეთი.

◆ პეტერბურგის პოლიტეხნიურ ინსტიტუტში სულ 300 თავისუფალი ვაკანსია ყოფილა და 3000 კაცს გამოუცხადებია შესვლის სურვილი.

◆ „ვოსტ. ობოზრ." იუწყება, რომ ქ. ვლადივოსტოკში ერთი ინდოელი ახალგაზრდა კაცი ჩამოსულა, ბომბეის უნივერსიტეტში კურს-დასრულებული, აღმოსავლეთის ენების სპეციალისტი. ეს ახალგაზრდა კაცი პეტერბურგს გაემგზავრება და განზრახვა აქვს გაეცნოს რუსეთის ცხოვრებას და გააცნოს რუსეთის საზოგადოებას ინდოეთის ცხოვრება საჯარო ლექციების შემწეობით.

◆ ქ. კონოტოპში ჩერნიგოვის გუბერნატორის განცხადებაა ქუჩებში გაკრული, რომლითაც ხალხს აუკრძალეს ქუჩებში გაჩერებას, ყრილობის გამართვა ქუჩებში, რკინის გზის სადგურთან, მოედნებზე და რკინის გზის სახელოსნოებთან.

სახელოსნოების მუშებს გამოუცხადეს, რომ ყველა მუშები, რომელნიც 2 ივლისს სახელოსნოებში არ გამოცხადდებიან, დათხოვნილ იქნებიანო.

პრესსა

„რუსკ. ვედომ."-ის ლონდონელ კორესპონდენტს საყურადღებო ცნობები მოჰყავს იმის შესახებ, თუ როგორის პატივისცემითა და ნდობით ეკიდებიან ინგლისელები საფოსტო დაწესებულებათ.

ინგლისელმა არ იცის, თუ რა არის სხვისი წერილის გახსნა, მისი შინაარსის გაგება. ამბობენ, რომ ნაპოლეონ მე-III-ს დროს ისეთი ოსტატები იყვნენ, რომელნიც ხელის შეხებით და სუნით გამოიცნობდნენ ხოლმე კონვერტის „უკანონო" შინაარსს, და დიდი ჯამაგირიც ეძლეოდათ; ინგლისელები კი ამისთანა ოსტატებს „კატორღაში" ჰგზავნიდნენ. აი რა ფაქტი ამოვიკითხე ინგლისის ფოსტის უფროსის ანგარიშში. საიდუმლო პოლიციის აგენტს ერთის გამარჯულ ბოროტ-მოქმედის დაჭერა მოუსურვებია და მის ცოლს ქმრის ერთი მეგობრის სახელით დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც ატყობინებდა, ამა და ამ ადგილს გამოგზავნე ქმარი ჩემ დასახვედრადაო. ბოროტ-მოქმედი გამოცხადდა და დაპატიმრებულ იქმნა, აგენტს კი მადლობა მოუვიდა. სატელეგრაფო კონტორის მოხელემ რაგი გაიგო, რომ აგენტს ყალბი სახელი და გვარი მოეწერა დეპეშაზე, უჩივლა მას სასამართლოში. მოსამართლემ საიდუმლო პოლიციის აგენტი დამნაშავედ იცნო და დაპატიმრება მიუსაჯა. საიდუმლო პოლიციის მთავარ-გამგებელმა სთხოვა ფოსტის უფროსს, დახმარება აღმოეჩინა დასჯილ აგენტისათვის და შემდეგი პასუხი მიიღო მისგან: ფოსტა არაფერ შემთხვევაში არ გაუწევს სამსახურს პოლიციას და მიწერ-მოწერის საიდუმლო უსასტიკესად უნდა იქმნას დაცულიო.

დამნაშავე საიდუმლო აგენტს მადლის სამუშაოზე გაგზავნა მოელის.

* *
*

ახალგაზრდა ინგლისელმა მწერალმა ჯონ-ბრაისმა გამოსცა თავისი საყურადღებო თხზულება—მე-XIX საუკუნეში გამოჩენილ კაცების, ბიკონსფილდის, გლადსტონის, პარნელის და სხვ. ბიოგრაფიები. ბრაისის თხზულებას დიდი დაკვირვება ემჩნევა; როგორც ცოცხალი ნიჭის ნაწარმოები, იგი ფიქრს უღვიძებს მკითხველს. მოგვყავს მაგალითად ბიკონსფილდ-დიზრაელის საყურადღებო დახასიათება.

ბუნებამ შესძინა მას მტკიცე ხასიათი, ცოცხალი და გამჭრიახი გონება და მხურვალე გული. მას კარგად ესმოდა, თუ რამდენად იყო იგი ბუნებისაგან ძლევა-მოსილი და მხოლოდ მოწადინებული იყო, რომ სხვებსაც ეცნოთ მისი უპირატესობა. ზოგიერთ ადამიანს დიდების წყურვილს შიში უკლავს ხოლმე, გაი თუ ვერ ვსძლიოთ ცხოვრებაში უფრო ნაბიჯზე გაშლილ საფრთხესო; ზოგიერთები თავ-მომწონედ შესცქერიან თავის დიდებას, კმაყოფილებას გრძნობენ და არ უნდათ ძალა დაატანონ თავის თავს, რომ კიდევ უფრო მეტი თაყვანისცემა მოიპოვონ, დიზრაელი-კი განსხვავებული კაცი იყო, პატივის სიყვარული მასში თავმომწონეობას ზრდიდა და თავმომწონეობა—უფრო მეტ დიდების მადას უღვიძებდა გულში. დაბადებიდან იგი განათლებულ საზოგადოებას ეკუთვნოდა, ბავშვობიდან ისეთ კაცთა შორის იზრდებოდა, რომელნიც გაირჩეოდნენ სხვებისაგან გამჭრიახის გონებით, მახვილის სიტყვა-პასუხით, რომელთაც არ ასულდგმულებდათ რაიმე მაღალი იდეალი და მხოლოდ ცხოვრების ზედა პირზე ეჭირათ საპატიო ადგილი. ტომით ებრაელი, იგი თავის თავს ინგლისის შვილად არ სთვლიდა და ისე უცქეროდა ინგლისის ცხოვრებას და პოლიტიკას, როგორც ბუნებისმეტყველი ფუტკრებისა და ჭიანჭველების ცხოვრებას უცქერის. ინგლისის ცხოვრება მის დროს მეტად რთული იყო, თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგობით, კონტრასტებით სავსე, არსად არ შეხვდებოდით ისეთ პირმოთნეობას, ისეთ ფარისევლობას და თვალთმაქცობას მდიდარ ხალხთა შორის, როგორც იმ დროის ინგლისში და იმავე დროს ვერსად ვერ ნახავდით იმდენ მაღალ, ზნეობრივ მისწრაფებათა მაგალითებს, როგორც იმ დროის ინგლისში. ისეთ კაცს, როგორიც დიზრაელი იყო, შეეძლო ზიზღი გამოეცხადებინა თანამედროვე საზოგადოებისათვის, შეეძლო მკვეთრი ირონიით დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ დიდების წყურვილი მოსვენებას არ აძლევდა, მას უნდა ჩაეგდო ხელში ის, რასაც გარშემო ყველანი მიელტვიან, უნდა გაემარჯვნა სხვებზე, რომელთა სისულელე ართობდა მას და უბადებდა სურვილს თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა იგი. მას შეეძლო დიდებული სატირიკოსი გამხდარიყო, მაგრამ დიდებული სახელმწიფო მოღვაწეობა არჩია.

იგი ისე დამშვიდებულად გაითვალისწინებდა ხოლმე თავის შეძლებას, ისე ასწონ-დასწონიდა თავის ძალ-ღონეს, როგორც ინგლისელი თავის შეძლებას, ასწონ-დასწონავს ხოლმე, სანამ გზის კეთებას შეუდგებოდეს.

დიზრაელი-ბიკონსფილდი ოცდა რვა წლის ახალგაზრდა კაცი იყო, როცა პირველად საზოგადოებათა პალატაში შესვლა მოიწადინა. ოთხჯერ სცადა და ოთხჯერვე ამაოდ. მეხუთეჯერ-კი გაიმარჯვა. პირველად რომ სიტყვა წარმოსთქვა პარლამენტში, დამსწრენი სიცილით დაუხვდნენ, მაგრამ მან დამშვიდებით გამოაცხადა, ყველა საქმე, რაც-კი დამიწყია, ბოლომდის გამიტანია და ამასაც ბოლომდის გავიტანო.

აასრულა კიდევაც თავისი ნათქვამი.

თეატრი

ახალციხე. კვირას, 10 აგვისტოს, რაბათის (ახალციხის ძველი ქალაქია) სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს „თინბაზი" და „მდემური", დიმიტრი ვგ. ათაბეგოვისა და სტეფანე ნებიეროვის მეთაურობით. წარმოდგენას სახლი ბლომად დაესწრო, მაგრამ თითონ წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა, რაც ძალიან სამწუხაროა. საერთოდ როლები კარგად ყველამ არ იცოდა და ამის გამო ხამი სუფლიორი ეჩქიოდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა. წარმოდგენის შემდეგ ბეთანელმა წაიკითხა ლექსი.

მეტრე-ბიძე

ხონი. კვირას, 10 მარიამობისთვეს, საზაფხულო თეატრში წარმოდგენა გამართეს. წარმოადგინეს გუნიას დრამა „და-ძმა". საზოგადოდ პიესამ სუსტად ჩაიარა, ამის მთავარი მიზეზი იყო წარმოდგენის ერთის რეპეტიციით დადგმა, სცენის მოუწყობლობა, და როლის უცოდინარობა. გარდა ორი-სამისა, მოთამაშეთ არ იცოდნენ, სად უნდა გაჩერებულიყვნენ და რა უნდა ეთქვათ. მეტის-მეტად ცუდად ჩაატარეს სცენა სამკრობოდეში. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ქუთაისური არტისტი დ. ჩარკვიანი, რომელმაც გაიოზ ფალავის როლი რიგიანად ჩაატარა. არა უშავდა ოტიას მოთამაშეს პ. მდივანს და მარინეს მოთამაშეს ქ-ნ დ. ივანიძეს.

ილია ბახტაძე

წერილი კახეთიდან

მკვლელობანი. —კალოები.—ბეგარა.

კარგა ხანია კახეთი აღარავის უხსენებია გაზეთის ფურცლებზე, თითქოს იგი აღარ არსებობდეს და ცხოვრებაც შეწყვეტილიყოს. არა, კახეთის მაჯის ცემა არასოდეს არ დადგება, მაგრამ არც თუ აჩქარდება, იგი კუს ფეხით ეწევა ცხოვრების უღელს. მაგრამ ის ამბები-კი, რაც აქ ზაფხულს ხდება, არ შეეფერება წყნარ და მშვიდობიან კახეთს. აი, აქ, თელავში, ქეიფობის დროს მოჰკლეს კაცი. ეს კიდევ არაფერი, შედეგია უზომოდ ღვინის სმისა და ქეიფისა. ს. შილდაში მუშაობის დროს ძმამ მარინაშვილმა ძმა მოჰკლა. ყვარელში თავის სახლში იპოვნეს გვამი შეძლებულის უცოლ-შვილო კაცისა. ამავე სოფელში საერობო დარაჯს, როდესაც სახლში ეძინა, გარედან თოფი ესროლეს და დასჭრეს. აკურაში მოჰკლეს იქაური მცხოვრები შითადაშვილი, ჯერ დაუძახნათ, ილიავ, გარედ გამოდიო. შითადაშვილი გასულიყო გარედ და გვითხრა, ვინა ხარ, რა გინდაო პასუხის მაგივრად თოფი ესროლათ. ალავერდის ბოლოზე თოფით მოუკლავთ ერთი თათარი. სხვა კიდევ, რაც წვრილი ამბები ხდება, მეტია. არც სასულიერო წოდებას ერიდებიან. 6 აგვისტოს ურიათუბანში მოჰკლეს ამ სოფლის მღვდელი ჩეკურიშვილი. ახლა კიდევ დღეობები მოახლოვდა, იქაც ჩხუბის დროს, ეჭვი არ არის, სისხლი დაიღვრება.

ძლიერ ნამდვილი ზაფხულისებური დღეები დაგვიდგა. ავდარი ხშირი სტუმარი იყო ჩვენი, რაც ძლიერ ხელს უშლიდა ჭირნახულის მომკას, მოტანას და გალეწვას. ბევრგან ძლიერ ნაკლებად მოვიდა პური და ვერც გულაგინდებური განადებული კალოობა ექნებათ. სოფლად კალოების გამართვის ნებას ხომ დიდი ხანია აღარ აძლევენ ამისათვის ბოლოზე ან სოფლის განაპირას მართავენ და მთელი ჯალაბობა დღე დამობით მიდის. უმთავრეს ნაკლულევანებას ხეირიან სასმელ წყლის უქონლობა შეადგენს. ღარიბ-ღატაკები სვამენ ხევის მღვრიე წყალს და ოფლიანნი ნაგზე გრილდებიან. ასეთ წყალსა და ქვიშას, რასაკვირველია, ავადმყოფობა მოსდევს, უფრო ციებ-ცხელება.

რადგან ჭირნახული ამ ჟამად ცის ქვეშაა და ამის გამოისობით თვით პატრონნიც გარედ იმყოფებიან, ამისათვის ყველა ცდილობს, რაც შეიძლება დროით გალეწონ და მიიტანონ შინ ზამთრის სარჩო. ეხლა საქმეზე ხელის აღება და მოცდენა ძნელია, მაგრამ მაინც ბევრმა 3—4 დღით საქმეზე ხელი აიღო საქონელთან ერთად. თელავში მოსახლეკარე ჯარის კაცნი ერევანში გადაიყვანეს. მათის ბარგის გადატანა-კი ადვილ საქმეს არ შეადგენდა. ჯარი ოთხჯერად წავიდა. თითო ჯერზე 100—120, ხან მეტი ურემი იყო საჭირო. ამდენ ურმების გამოყვანა საეჭვო იყო სოფლის მოხელეების მიერ. ალბად, ამისთვის სამაზრო გამგეობიდან მოხელეები დანიშნეს, რომ თავის დროზე წარედგინათ საჭირო რაოდენობა ურმებისა. ერთმა მეურმემ შემოგვჩივლა, ერთი თუმნის გადახდა მერჩივნა ეხლა ჩემსა და საქონლის მოცდენასაო. სულ 500 ურემამდე გაიყვანეს.

დიმიტრაშვილი

სხვა და სხვა ამბები

ღარიბი მილიონერი. ასეთი მილიონერი იყო ვასილ ფიდლერი, რომელიც შარშან, 21 სექტემბერს ნიცაში მოკვდა. რამდენიმე წელიწადი ეს ფიდლერი ქუჩა-ქუჩა დადიოდა თურმე ნიცაში და მათხოვრობდა. სხვათა შორის, დიდ დახმარებას უწევდა ფიდლერს რუსეთის ადგილობრივი ელჩი დევევიცკი. სიკვდილის შემდეგ ფიდლერს დარჩენია ერთი მილიონი მანეთი. ეს ფული უცნაურ მათხოვარს იმ ანდაზის გასამართლებლად: „ვისაცა აქვს, მიემატოსო", პარიზელ ბანკირის როტშილდისთვის უანდერძნია. ფიდლერი რუსეთის ქვეშევრდომი იყო და რუსეთში ბევრი აღმოჩნდა იმისი ნათესავი, რომელნიც ეხლა როტშილდს ედავებიან. როტშილდს თუმცა თავისიც საკმაოთ აქვს, მაგრამ ამ ერთ მილიონს მაინც არავის უთმობს.

ფილოსოფიის დოქტორობა და წიგნების გამომცემელნი. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის საფილოსოფო ფაკულტეტმა წიგნების გამომცემელს, ლეიფციგელს დრუგულინს სასარგებლო წიგნების გამოცემისათვის მიანიჭა ფილოსოფიის დოქტორობა. გერმანიის უნივერსიტეტები დიდ მნიშვნელობას აძლევენ გამომცემლობით საქმეს და ხშირად აჯილდოვებენ დოქტორის ხარისხით გამომცემელს. ერთმა უნივერსიტეტმა სამკურნალო წიგნების ცნობილი

მქონენი, მისდევენ შინაურ საქონლის მოშენებას. თუმცა ვენახებიცა აქვთ, მაგრამ აქაური ვენახი ძალიან ცოტას იბამს, ხშირად შემოდგომაზე რთველიც უსწრებს ხოლმე და ყურძენი მკვახე რჩება.

უწერაში მრავალ ადგილას გამოდის მჟავე წყალი. ექიმების მიერ საუმჯობესოდ ცნობილია მჟავე წყალი, რომელიც ვ. გამყრელიძის ადგილში გამოდის, ამიტომ ამ წყალს ბუზივით ეტანება ხალხი. ყოველ წლობით უწერაში ბლომათ მოდის ხალხი საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან, ხშირად რუსეთიდანაც. მოაგარაკეთათვის აშენებულია ორმოცამდე კოხტა სახლი და ერთი სასტუმრო. უწერის სასტუმროს შორიდან რომ შეხედოთ, მართლაც სასტუმრო გეგონებათ, მშვენიერ მოხდენილ ადგილზეა წამოჭიმული. მაგრამ, მაგარიც ის გახლავთ, როდესაც შიგ შებრძანდებით და კარგად დაათვალიერებთ, დარწმუნდებით, რომ იმას სასტუმროსი არა სცხია-რა, ეს სასტუმრო გარედან მტერს უყენებს თვალებს, ხოლო შიგნით-კი—მოყვარეს. სასტუმროში თორმეტამდე ოთახია, ეს ოთახები ძალზე პატარებია და შიგ თითო დანჯღრეულ ტახტის მეტი არა მოიპოვება რა. კედლები სავსეა ობობას ქსელით, შპალერი სულ ჩამოხეულია კედლებზე, ამას ვინ სჩივა, იატაკი რომ მაინც რიგიანი ჰქონდეს უწერის სასტუმროს. აივნის იატაკი სრულიად დამპალია და ძალიან გულადი კაცი უნდა იყოს, იმაზე გასეირნება რომ გაბედოს. აი, ამგვარ ოთახებში სასტუმროს პატრონი დღე-ღამეში თითო მანეთს იღებს. რას იზამს მოაგარაკედ მისული კაცი: სხვაგან საშოვარი რომ აღარ იქნება სახლებისა, უსათუოდ უწერის სასტუმროში უნდა დადგეს, აბა სად უნდა წავიდეს? ამ სასტუმროს ბიჭების სიყოჩაღესა და სიმარდეს ნუღარ იკითხავთ. 20 ივლისს მომიხდა, ჩემდა საუბედუროდ, უწერის სასტუმროში ღამის გათევა. ვსთხოვე ბიჭს სამოვარი გაეჩაღებინა. ბიჭმა სამოვარი დადგა, სამოვრის ლულაში ცეცხლი ჩაჰყარა და ზევიდან „ტრუბა" დააცო. გაიარა სამოვრის გაჩაღების შემდეგ ერთმა საათმა და სამოვარი არ ადუღდა. კიდევ გავიდა ერთი საათიც და სამოვარი მაინც არ ადუღდა, თუმცა ცეცხლს მალ-მალე უმატებდნენ. ის იყო შუადღემაც მოატანა, რომ სამოვარი გარედან ძალზე გაწითლდა და მთლად დაიშალა. სამოვარს რა ადუღებდა, თურმე ჩვენს „ლაქიას" ცეცხლი ჩაეყარა და წყალი კი არ ჩაესხა. მზარეულიც ახირებული ჰყავთ უწერის სასტუმროში, ვერც შემწვარს უთავებს ხელს და ვერც მოხარშულს და ისეც კუჭ დასნეულებულ მეგრელებს (უმთავრესად მეგრელები არიან უწერაში საზაფხულოდ) უარეს დღეს აყენებს. ყოველ სანოვაგის საშინელი სიძვირეა უწერაში. კარგს იზამს რაჭის მაზრის უფროსი, ზაფხულობით განსაზღვრულ ნიხრს თუ დააწესებს ყოველ სანოვაგეზე. ერთ დუქანში გირვანქა ცხვრის ხორცი 20 კაპ. დამიფასეს.

გამყრელიძის მჟავე წყალი რიონს გაღმა, ერთ ფერდობ ადგილშია. მოაგარაკეთა ბინიდან ეს მჟავე წყალი ნახევარ ვერსითაა დაშორებული. მჟავე წყლამდე მისასვლელი გზა მეტად ცუდია, ასე რომ ავადმყოფს კი არა, ჯან-მრთელ ადამიანსაც გაუჭირდება ასეთ გზაზე გავლა. სადაც მჟავე წყალი გამოდის, იქ გადახურულია ფანჩატური, იქვეა უბრალო ჩამოსაჯდომი ფიცრები. ფანჩატურს არა აქვს ძირს დაგებული იატაკი, ამიტომ მტვრით არის აქაურობა სავსე. ქალების კაბის გრძელი კუდები საშინელ მტვერს აყენებენ ხოლმე და ავადმყოფებმა მჟავე წყალთან ერთად მტვერიც უნდა ჰყლაპონ. შუადღისას მჟავე წყალი დაკეტილია საღამოს ოთხ საათამდის, აგრეთვე ღამის 9 საათიდან დილის 7 საათამდის. ამ ხნის განმავლობაში მჟავე წყალი გროვდება ქვითკირის კოდში. რასაკვირველია, დაგროვებულ წყალს გაზიც ეკარგება და სამკურნალო თვისებაც აკლდება. დღეში თითო ადამიანზე იღებენ იჯარას 6 კაპ. და თითო ბოთლზე 3-დან 4 კაპ. ყოველ დღეს შემოსავალი წყლის ფული 13-დან 15 მანეთამდე ადის. აი, ამ ფულს იღებს ყოველ ზაფხულს მჟავე წყლის პატრონი და წყალზე მისასვლელი გზა-კი ვერ გაუკეთებია. ამასთან წყლის მომტანიც ერთი ბიჭია, რომელიც ვერ ასდის მრავალ ხალხს და ბევრი წყლის უსმელი ბრუნდება.

განო ჭიჭინაძე.

ეროვნული

გამომცემელი გირზემანი, რომელსაც სამკურნალო განათლება-კი არ მიუღია, მკურნალობის დოქტორის ხარისხით დააჯილდოვა.

—

საჭმელი, ტემპერამენტი და ხასიათი. ერთ ინგლისელ ექიმს გამოუკვლევია, რა გავლენა აქვს სხვა-და-სხვა საჭმელს კაცის ხასიათსა და ტემპერამენტზე. თუ ამ ექიმს დაუჯერებთ, ის, ვინც ძალიან ხშირად ძროხის ხორცსა სჭამს, მხნე და მამაცი ხდება. სულ სხვა შედეგი მოსდევს ღორის ხორცს. ამ ხორცის მოყვარული პესიმისტი ხდება. ისინი, ვინც მხოლოდ ცხვრის ხორცსა სჭამენ, თავს მუდამ უბედურათა ჰგრძნობენ. ასევე ცუდად მოქმედებს თურმე ხბოს ხორცი. იმ ქმარს, რომელიც ხბოს ხორცით იკვებება, უსათუოდ ცოლი იბრიყვებსო, ამბობს ექიმი. ასეთ ქმრებს მხნეობა და რიხი აკლიათ. ახალგაზრდა ქალებისთვის ექიმს სასარგებლოდ მიაჩნია რძე და კვერცხები: სინაზესა და მხნეობას უმატებს ქალს. ზანტ და ზარმაც კაცებს ძალიან უყვართ ერბო. ყველაზე სასარგებლო საჭმელად გონებისა და სხეულის გასამაგრებლად ექიმს კვერცხები მიაჩნია. არც თევზი ყოფილა კარგი: თვით მხიარული კაციც მოსაწყენი ხდება. კარტოფილი ამძიმებს კაცს და ცუდ გუნებაზე აყენებს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 აგვისტო

პოლტავა. ცნობა მოვიდა, რომენსკის მაზრაში, განზრახულ რკინის გზის ახლო ქვანახშირის მადანი აღმოაჩინესო.

სევასტოპოლი. ესკადრა ინიადიდან სევასტოპოლს დაბრუნდა.

კალუგა. დღეს რკინის გზის სადგურს ცეცხლი წაეკიდა; მოსამსახურეთა სადგომი დაიწვა; პირველისა და მეორე კლასის დარბაზები დაიწვა.

ბელგრადი. ელჩი ნოვაკოვიჩი პეტერბურგს წავიდა ახალ რწმუნების წერილების ჩასაბარებლად.

ოდესა. 13 აგვისტოს დილით სტამბოლიდან „ტერეკი" როსტკოვსკის გვამით მოვიდა აქ: გვამს მოჰყვნენ განსვენებულის ცოლ-შვილი და რუსეთის ელჩის რწმუნებული მანდელშტამი. გვამის დასახვედრად შეიკრიბნენ გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელნი, ქალაქის გამგეობა, სამოქალაქო და სამხედრო მოხელეები, სამღვდელოება, ჯარი და დიდ-ძალი ხალხი. კუბო მრავალ გვირგვინით მორთულ კატაფალკზე გადაიტანეს. მცირე ლოცვის შემდეგ, პროცესია ტაძრისაკენ გაემართა. ტაძრის შესავალში კუბოს ყოვლად უსამღვდელოესი იუსტინე შეეგება სამღვდელოებით; კუბო შავის მაუდით გადაკრულ კატაფალკზე დაასვენეს. პირველი პანაშვიდი ყოვლად უსამღვდელოესმა იუსტინემ გადაიხადა. დასაფლავება ხვალ მოხდება.

სოფია. ადრიანოპოლის ვილაიეთში აჯანყებულნი იანიდის ახლო მაიაკის აღებას ცდილობენ. ამბობენ, რომ მალე მალკოტირნოვს დაეცემიანო. ოსმალთა სოფელს გამზობეკლის, ადრიანოპოლს ახლო, აჯანყებულნი დაეცნენ და დასწვეს. დერვენთი დაანგრიეს. აჯანყებულმა ხალხმა კირკილისეს სანჯაყის მომეტებული ნაწილი დაიჭირეს.

პარიზი. ემბერებმა, ცოლმა და ქმარმა, საკასაციო საჩივარს ხელი მოაწერეს.

სტამბოლი. ადრიანოპოლის ვალი 11 აგვისტოს რიცხვით იტყობინება, ვითომ მუსულმანთა სოფლებს ტირნოვის მიდამოებში აჯანყებულთ რაზმებმა ცეცხლი წაუკიდეს. ტირნოვოს ტამოჟნის ზედამხედველის ცოლი და პატარა ბავშვი მხეცურად მოჰკლეს.—30 ბოლგარი მაჰმადიანთა სოფელ ხაჯიდან-ისახმედს დაეცა და სულ ნაცრად აქცია. 10 აგვისტოს, ღამით, აჯანყებულნი ტირნოვოში კაზარმას დაეცნენ, [illegible] ჯარმა უკუ აქცია.

14 აგვისტო.

პეტერბურგი. ებოძათ: ალექსანდრე ნეველის ორდენი ბრილიანტებით მორთული ინფანტერიის გენერალს დურნოვოს და ინჟენერს გენერალ კონარჟევსკის; ორდენები: ალექსანდრე ნეველისა ინფანტერიის გენერალს ფონ-მევეს. თეთრი არწივისა—გენერალ-ლეიტენანტს სამოცვეტოვს.—ხელმწიფე იმპერატორმა ფსკოვის გუბერნატორს მადლობა გამოუცხადა წესიერების დაცვისათვის მის იქ ყოფნის დროს.

კაზანი. ურთიერთ დახმარების წესდება დამტკიცდა.

ეკატერინოსლავი. დაადგინეს გამოსცენ გადაწყვეტილი სესხი წყლის გასაყვანად, ტრამვაის, საყასბოს და სასწავლებლებისათვის 4½ პროცენტიანი ობლიგაცია 50, 100 და 500 მანეთიანები 1904 წ. 1 აპრილიდან, რომელიც 50 წლის განმავლობაში ტირაჟში უნდა გამოვიდეს.

პორტ-არტური. ქალაქი ემზადება დიდებულად დაუხვდეს გენერალ-ადიუტანტ ალექსეევს, რომელიც მოადგილედ მოდის ვლადივოსტოკიდან. 10 აგვისტოს მოვიდა ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო კომიტეტის წევრი გენერალ-მაიორი აზბელევი, რომელსაც საკომერციო სასწავლებლის დაარსება აქვს განზრახული.—სადგურებ სანშიანტუსა და შუდუნძიანის შუა ხუნხუზთა ბრბო თავს დაესხა ტელეგრაფის შემკეთებლებს; მუშები ჩინელები გაიქცნენ; ტეხნიკო ტუგოას ისროდა, მინამ პოლიციის დარაჯი და კაზაკ რუსები მიეშველებოდნენ. პოლიციის დარაჯი დაჭრილია და სამი ხუნხუზი მკვდარი.

კონსტანტინეპოლი. მინკის ახლო, კონსტანტინეპოლიდან 100 კილომეტრის მანძილზე, გამოჩნდა მეამბოხეთა რაზმი. თუმცა კონსტანტინეპოლს საშიში არა მოელის-რა, მაინც ზომები მიიღეს მიდამოების დასაცველად.—დაატუსაღეს საეჭვო ბოლგარები.

ტრიპოლისი. ოსმალეთის მთავრობამ ბრძანა ცხენები იყიდონ მაკედონიის მხედრობისათვის.

ნეაპოლი. შუადღისას ვეზუვიმ დიდი ლავა ამოხეთქა. მოკლე ხანში ლავამ 400 მეტრის მანძილი გაიარა და გაჩერდა 850 მეტრის სიშორეზე, მავთულის რკინის გზის მახლობლად. საშიში ჯერ არაფერია.

მოსკოვი. გრენადერთა კორპუსის შეკრება სამი დღის აღლუმით დასრულდა.—დიდი მთავრები სერგეი ალექსანდრეს ძე და დიმიტრი პავლეს ძე, დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული და დიდი მთავრის მეუღლე მარიამ პავლეს ასული 12 აგვისტოს დაესწრნენ აღლუმს სოფ. პერხუშკინოს და იუდინოს ახლო, 13 კი—სოფ. ნიკოლსკაიას ახლო. შემდეგ აღლუმი შეაჩერეს.

კონსტანტინეპოლი. ავსტრიის საელჩოს ნოტაზე პორტამ უპასუხა, გარდა ელბ-ოგლისა, რომელსაც ვინდო დაეცვა აღმოსავლეთის რკინის გზებისა, კერძოდ კი ადრიანოპოლ-კონსტანტინეპოლის შტოს,—სალონიკის შტოს დასაცველად კიდევ სულეიმან-ფაშა დაინიშნაო. მეამბოხეთა თავს დასხმის ასაცილებლად სადგურებზე დარაჯი გააძლიერეს. რადგანაც ამ ცოტა ხანში სულთანმა ბევრი მუქარიანი რჩევა მიიღო, პორტამ უბრძანა სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო მოხელეებს, როგორმე ჩააქრონ მაჰმადიანთა ფანატიზმი და ნება არ მისცენ მცხოვრებნი შეაწუხონ. პასუხს აგებენ სათანადო დაწესებულებები.

კონსტანტინეპოლი. რადგანაც სენჯაკ კირკილისეში ხალხს აფიწროებენ და რადგანაც ამის გამო მაჰმადიანი და ქრისტიანი მცხოვრებნი კონსტანტინეპოლში მირბიან, პორტა ჰფიქრობს იჩივლოს დიდ სახელმწიფოებთან და ბოლგარიის მთავრობასთან, უტყუარ საბუთებით მტკიცდება, რომ ბოლგარია არა თუ მეთაურებს უგზავნის მეამბოხეებს, ნივთიერადაც მხარს უჭერს მოძრაობას. ოსმალეთი აცხადებს, თუ ამას ცუდი შედეგი მოჰყვეს, ჩემი ბრალი არ იქნებაო.

პარიზი. პარლამენტი, 30 სექტემბრის მაგივრად, როგორც დანიშნული იყო, ერთი კვირით გვიან გაიხსნება, იტალიის მეფის მოსვლის გამო.

სან-სებასტიანი. ისპანიის მეფემ რუსული ნაღმოსნ-მატარებელი გემები ინახულა.

სოფია. რადგანაც პორტამ იჩივლა, რამდენიმე მეამბოხე რაზმი ბოლგარიის საზღვარზე გადმოვიდაო, შინაგან საქმეთა მინისტრმა დეპეშით უბრძანა ადგილობრივ მთავრობას, სასტიკად აკრძალონ რაზმების შედგენა და საზღვარზე გადასვლა.—აჯანყებულმა ხალხმა მიტინგი (კრება) მოახდინა და მთავრობის რეზოლუცია მიიღო: ჩვენმა ერმა მხნეთ უნდა იმოქმედოს, რომ მაკედონიაში სიმხეცეები მოასპობინოს პორტასაო.—დიდძალი ოსმალები მეამბოხე რაზმების შიშით ადრიანოპოლის ვილაიეტიდან კონსტანტინეპოლს გარბიან. შეშინებულმა ოსმალეთმა მოხელეებმა არ იციან, როგორ მოიქცნენ.—სულთანმა რუშდი-ფაშა გაიწვია.—მაკედონიაში ოსმალები მაინც კიდევ ურიდობენ ჯავრს უბრალო მცხოვრებლებზე.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

—

პეტერბურგის ბირჟა 12 აგვისტო

გაქსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,92½
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,27½
ლონდონისაზე ჩეკები	94,85
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	—
ბირჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100½ მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადვ.-მამ. ბანკისა.	95⅛ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	445¼ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ.	338 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	290¾ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	188 „

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარდა ნაჩვენებია პეტერბურგის საათით, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 8 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს, 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ.). 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს. 6 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ტყიბულისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.)

განცხადებანი

—

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

მიმდინარე წლის ეკზამენისათვის ტფილისის სათავად აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცდა-ექვსი (46) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის; ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

46 ვაკანსიიდან—45 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების სრულს ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულედ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევარის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისათანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსათვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს, 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოჰგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—30 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1903—1904 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავმდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავთავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—10)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, ქალთა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—209)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელთ მოთხრობა—მელანიასი.	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეს წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 14 Августа, 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)